პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 2 ივნისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

№ 121 (819) | 1 და 2 ქართული მშრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## კომუნიზმის ზრდა ინგლისში.

ინგლისში გაიხსნა კომპარტიის მორიგი ყრილობა. ინგლისის კომპარტია დიდი ხანი არაა რაც დაარსდა, სულ რამოდენიმე წლის არსებობა აქვს. მაგრამ მიუხედავათ მისი არსებობის ასეთი მოკლე ხანისა ინგლისის კომპარტიამ მაინც დიდ შედეგებს მიაღწია. თავიდანვე მის რიგებში სულ რამოდენიმე ათასი წევრი ირიცხებოდა; ის არ იყო მასიური პარტია. მაგრამ დღეს კი ის იმდენათ გაიზარდა რომ, უფლება მისცა ერთ თავის ბელადთაგანს ამხ. პოლიტს გაეცხადებია: **დღეს კომუნიზმი ინგლისში არა აჩრდილია, რომელიც სდევს კაპიტალიზმს, არამედ განსაზღვრული მოვლენა, რომელიც ემუქრება კაპიტალისტურ წესწყობილების არსებობას**“.ო.

განსაკუთრებით ინგლისის კომპარტიამ იწყო ზრდა მას შემდეგ რაც ინგლისის მუშათა მოძრაობაში მოხდა გარდატეხა და მასში იჩინა თავი მემარცხენეთა მიმდინარეობამ. მაკდონალდის მთავრობის უმოქმედობამ, კონსერვატიული მთავრობის თავაშვებულ იმპერიალისტურ პოლიტიკამაც აგრეთვე დიდათ შეუწყო ხელი ინგლისის კომუნიზმის ზრდას.

მართალია ინგლისის კომპარტია ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მას კიდევ ვერ ჩავთვლით მასიურ პარტიათ, მაგრამ რომ ის სულ მალე გახდება ასეთად, ამას საუცხოვოდ ადასტურებს მისი მიღწევები. ინგლისის მუშების თვალში მისი ავტორიტეტი ყოველდღიურად იზრდება, ინგლისის პროლეტარიატი მას უწყებს ყურებას, როგორც მისი ინტერესების შეურყეველ დამცველს. რომ ეს ასეა ამას მოწმობს ინგლისის უმუშევართა წარმომადგენლის მისასალმებელი სიტყვა ყრილობისადმი.

ცხადია კომპარტიის ასეთი მიღწევები შეუმჩნეველი არ დარჩა ინგლისის ბურჟუაზიისათვის.

ამ უკანასკნელმა და აგრეთვე სოციალ-შემთანხმებლებმაც უკვე დაიწყეს იერიში ახალგაზრდა კომპარტიის წინააღმდეგ. მაგრამ კომპარტია ამ იერიშს მედგრად დახვდა. უკვე ეს ფაქტი ნათლად მოწმობს მას რომ ინგლისის კომპარტია საგრძნობ პოლიტიკურ ძალათ გადაიქცა, რომელიც მოსვენებას არ აძლევს კაპიტალისტებს და მათ ლაქიებს.

ის მტკიცედ, შეურყევლად ებრძვის თავის იმპერიალისტურ ბურჟუაზიას და სოციალ-გამყიდველებს. და თუ, დღეს მუშათა მასების უმრავლესობა მის მხარეზე არ არის, ის ღრმად დარწმუნებულია რომ „ბოლოს და ბოლოს მუშათა კლასი შეიგნებს, რომ კომპარტია იყო მისი ავანგარდი.“

თავისი სიმტკიცით, ურყევი მთლიანობის დაცვით თავის რიგებში, ნამდვილი ბოლშევიკური ხაზით თავის მოქმედებაში, ინგლისის კომპარტია მალე გახდება ერთად ერთი ხელმძღვანელი ინგლისის მრავალმილიონიან მუშათა მასების.

მხოლოდ ის და სხვა არავინ მოწოდებულია ისტორიის მიერ წაიყვანოს მუშათა კლასი ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და დაამხოს მისი ბატონობა.

# ახალი რადიო-ამბები

## ინგლისის კომპარტიის ყრილობა.

გლაზგოში გაიხსნა ინგლისის კომპარტიის მეშვიდე ყრილობა.



ამხ. პოლიტი.

გახსნისას ყრილობამ დაადგინა გაუგზავნოს მისალმების დეპეშა ბულგარეთის კომპარტიას და ამასთან ფეხზე ადგომით პატივი სცა სიკვდილით დასჯილ ამხანაგების ხსოვნას.

შემდეგ პოლიტმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა: „დღეს კომუნიზმი ინგლისში აღარ არის უკვე აჩრდილი კაპიტალიზმის წინააღმდეგ, არამედ ის არის განსაზღვრული მოვლენა, რომელიც ემუქრება კაპიტალისტურ წყობილების არსებობას.“

მუშათა მთავრობის დაცემასთან დაკავშირებით პოლიტი შეეხო „ზინოვიევის წერილს“ და აღნიშნა სრული წინააღმდეგობა წერილის სიყალბის გამომკვლევ პროფკავშირთა საბჭოსა და მაკდონალდის მოქმედებას შორის, რომელიც (მაკდონალდი) ბრმად დაენდო თავის სამინისტროს მოხელეებს.

პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ პოლიტმა განაცხადა, რომ მოძრაობის გაძლიერებას სხვათაშორის ამტკიცებს ბურჟუაზიული პრესის გამოლაშქრება. კომპარტია გააგრძელებს აგიტაციას მსოფლიო კონგრესის მოწვევისათვის, რომელმაც უნდა შეაკავშიროს ერთად ყველა პროფკავშირები.

შემდეგ პოლიტმა წინადადება შეიტანა გაუგზავნონ კოლონიალურ ერებს დეპეშა, სადაც ნათქვამია: „თქვენი მტრები—ჩვენი მტრებია.“

პოლიტმა განაცხადა: „არ შეიძლება იყო პატიოსანი მუშა და იმავე დროს მხარს უჭერდე იმპერიალიზმს. სოციალიზმი ვერ შეურიგდება ბრიტანეთის იმპერიის შემდეგ არსებობას“.

შეეხო რა რკინისგზელთა, ტრანსპორტის მუშათა, მელითონეებისა სამთო-მადნო მუშების მომავალ კონფერენციას, პოლიტმა აღნიშნა, რომ თუ ამ კონფერენციამ მხარი არ დაუჭირა მუშათა გაერთიანებულ გამოსვლას მომავალ წელში ბევრი უბედური ამბები დატრიალდებაო.

პოლიტის სიტყვის შემდეგ ყრილობას მიესალმა უმუშევართა, კომკავშირის, კანადის კომპარტიისა და პიონერების წარმომადგენლები.

**საჩუქარი სამარის მეშვიდე ცხენოსან დივიზიისაგან.**

გოლდესმა და გრინოკმა, რომლებიც დაბრუნდენ ამ დღეებში საბჭოთა კავშირიდან, გადასცეს ყრილობას შეფობის ქვეშ მყოფ სამარის მეშვიდე ცხენოსან დივიზიისაგან გამოგზავნილი დროშა. ყრილობის წევრებმა დიდის აღფრთოვანებით შეასრულეს წითელი არმიის მარში.

დღის სხდომაზე პოლიტიკური მოხსენება გააკეთა კემპბელმა. კომპარტიის საპარლამენტო ფრაქციის სახელით ილაპარაკა საკლათვალამ, რომლის მოხსენებაც მოიწონა ყრილობამ. მომხსენებელმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ყოფილ მუშათა მთავრობის პოლიტიკა, რომელმაც დიდ დაბრკოლებებს მოუმზადა პარლამენტში ნიადაგი.

შემდეგ ქალაქის მმართველობის სახელით ყრილობას მიესალმა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერი მღვდელი რიჩარდ ლი.

## იმპერიალისტურ საფრანგეთის წინააღმდეგ.

### -აჯანყებულთა ძალები იზრდება, -რიფები დიდ აქტიობას იჩენენ ბრძოლაში,

ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ რიფების ბელადის, აბდულ ქერიმის ძმა გადავიდა შეშუანში, სადაც სცდილობს ააჯანყოს საფრანგეთის წინააღმდეგ დასავლეთ ზონის ტომები.

600 აჯანყებული დაგროვილია საერთაშორისო ზონის მახლობლად.

ესპანეთის ავიატორები, რომლებიც იგერიებენ რიფების იერიშებს, აღნიშნავენ აჯანყებულთა დიდ ენერგიულ მოქმედებას დასავლეთ ფრონტზე.

## საფრანგეთის ბიუჯეტი.

საფრანგეთის სენატმა 289 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღო 1925 წლისთვის ბიუჯეტი, რომლის გასავალი უდრის 32.690 მილიონ ფრანკს და შემოსავალი 32.970 მილიონს.

## ამხ. რაკოვსკის წერილი ინგლის-რუსეთის მომრიგებელ საზოგადოებას.

რაკოვსკიმ გაუგზავნა წერილი ინგლის-რუსეთის მომრიგებელ საზოგადოების თავმჯდომარეს ტალბოტს, რომელსაც სწერს: „საბჭოთა კავშირი თანაგრძნობით უყურებს საზოგადოების მუშაობას, რომლის უმთავრესი დამსახურება გამოიხატება იმაში, რომ მან არამც თუ სიტყვით, საქმითაც მიიღო საბჭოთა მთავრობის არსებობის ფაქტი.

ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანების მოგვარება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ინგლისის ფინანსიური და საქმიანი წრეები მზად იქნებიან მხარი დაგვიჭირონ კავშირის ეკონომიური ცხოვრების აღორძინებაში.

## საფრანგეთის ბურჟუაზიის ავანტიურა.

ომი მაროკოსა და საფრანგეთს შორის გრძელდება. საფრანგეთის იმპერიალისტებს ეგონათ, რომ ისინი ერთის დაკვრით გაანადგურებდენ აბდელ-ქერიმის ჯარებს და დაიმორჩილებდენ ურჩ რიფებს; მაგრამ მათი იმედი არ გამართლდა.

არაბები არც ისე სუსტი აღმოჩნდენ.

ისინი თავგანწირვით იბრძვიან და მიწის ერთ ნაჭერსაც კი უბრძოლველად არ უთმობენ მტერს. რიფები იცავენ თავის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

ცხადია ვერავითარი ტანკებით და მხრჩოლავი აირებით საფრანგეთის მტაცებლები უცბად ვერ დაამარცხებენ გმირ რიფების რესპუბლიკას.

ეს გარემოება დიდათ აწუხებს საფრანგეთის მთავრობას.

ის გაბრაზებულია მაროკელთა „თავხედობით“ და ცოფმორეული, გზავნის ახალ ჯარებს და შეიარაღებებს მაროკოს ფრონტზე აბ-დელ-ქერიმის დასამარცხებლად.

მაგრამ აქ თავისი ხმა აღამაღლა საფრანგეთის კომუნისტურ პარტიამ, რომელმაც სასტიკად გაილაშქრა ამ საზიზღარი იმპერიალისტური ავანტიურის წინააღმდეგ.

განა მართლადაც რიფები დაესხენ პირველად საფრანგეთის სამფლობელოს საზღვრებს? სრულიადაც არა. ამ უთანასწორო ომის დამწყები თვით საფრანგეთია.

მაროკო მდიდარი ქვეყანაა და ის უნდათ ხელში ჩაიგდონ საფრანგეთის იმპერიალისტებს. რიფებს კი არ სურთ თავისუფლების დაკარგვა. ისინმა მონობას, ბრძოლა ამჯობინეს.

და როცა საფრანგეთის კომუნისტური პარტია მტკიცედ წავიდა საფრანგეთის მთავრობის ამ სისხლიან ავანტიურის წინააღმდეგ, მთელმა საფრანგეთის ბურჟუაზიამ ერთი განგაში და აყალმაყალი ასტეხა: „კომუნისტები ღალატობენ სახელმწიფოს და საფრანგეთის ღირსებასო.“

მაგრამ მივმართოთ სინამდვილეს და გავარჩიოთ ვინ ღალატობს მართლა საფრანგეთის ხალხის ინტერესებს და უსინდისოთ, ვაჭრულად ჰყიდის მას.

ამას წინად საფრანგეთის კომუნისტებმა გამოაშკარავეს თავისი ბურჟუაზიის შემდეგი საზიზღარი საქმე: როცა საფრანგეთის მთავრობის გემებს მაროკოში მიაქვს ფრანგ კაპიტალისტების სამხედრო შეიარაღებები საფრანგეთის ჯარისათვის, ამავე დროს კონტრაბანდისტულ გემებს იმავე მაროკოში მხოლოდ აბ-დელ-ქერიმისათვის მიაქვს იმავე საფრანგეთის მეორე ჯგუფი კაპიტალისტების შეიარაღებები. ამაზედ მეტი ღალატი ხალხის წინაშე შეუძლებელია. საფრანგეთის ბურჟუაზია გამდიდრების მიზნით ყლეტს, როგორც ფრანგ მუშას და გლეხს, ისე თავისუფლებისათვის მებრძოლ რიფს. საფრანგეთის იმპერიალიზმი ერთის ხელით აიარაღებს საფრანგეთის პროლეტარს მაროკოს არაბის წინააღმდეგ, მეორეს ხელით ამავე არაბს აიარაღებს საფრანგეთის მშრომელის წინააღმდეგ. იღვრება მუშების და დაჩაგრულთა სისხლი, ხოლო ახალი ოქროებით ივსება ფრანგ კაპიტალისტის ჯიბეები, ვინაიდან რამდენი მეტი თოფები, ვაზნები, ქვემეხები დასჭირდება ამ საზიზღარ ომს იმდენად მეტ მოგებას ნახავს საფრანგეთის პირსისხლიანი ბურჟუაზია.

აი რა სჩადის ის ხალხი, რომელიც დღეს ფრანგ კომუნისტებს ბრალს სდებს სახელმწიფო ღალატში. მაგრამ საფრანგეთის კომუნისტური პარტია ხომ ისეთი მშიშარა და გამცემი ბუნების არაა, როგორც გამყიდველი სოციალისტებია, რომლებიც მხარს უჭერენ ბურჟუაზიას ამ მორიგ ავანტიურაში; საფრანგეთის კომუნისტები მტკიცედ განაგრძობენ ბრძოლას მაროკოს ავანტიურის წინააღმდეგ.

ისინი არ დაუშვებენ, რომ ბურჟუაზიის ჯიბის სასარგებლოთ იღვრებოდეს მშრომელთა სისხლი. კომპარტია მიაღწევს მას, რომ საფრანგეთის მშრომელთა მასების წინაშე გამოამჟღავნებს საფრანგეთის ბურჟუაზიის ამ საზიზღარ ავანტიურას.

—მ.

## ჩჟან-ცზო-ლინი დახმარებას სთხოვს იაპონიას.

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ცდილობს გავლენა მოახდინოს ჩჟან—ცზო—ლინზე, რათა ხელი აიღებინოს მას პროვოკატორულ პოზიციიდან საბჭოთა კავშირის მიმართ. ჩჟან—ცზო—ლინი თავის მხრივ სცდილობს მიიმხროს მთავრობა მტრულ პოზიციაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჩჟან—ცზო—ლინის მრჩეველი იუ—ჩუნ—ხანი აწარმოებს მოლაპარაკებას იაპონიის მთავრობასთან სესხის შესახებ ჩჟან—ცზო—ლინისათვის.

## ამუნდსენის ექსპედიციის შესახებ.

### როსტას მიმართვა.

ცნობილი მოგზაური ამუნდსენი და მისი თანამგზავრი ამერიკელები 21 მაისს ნაშუადღევის 5 საათზე და 15 წ. გაფრინდენ შპიცბერგენიდან ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ 2 ჰაეროპლანით. ისინი უნდა მისულიყვენ დანიშნულ ადგილზე 8 საათის განმავლობაში.

დღემდის ექსპედიციის შესახებ არაფერი იციან.

როსტა სთხოვს განაპირა ჩრდილოეთის რადიო-ტელეგრაფის სადგურებს, სავაჭრო ნავთსადგურებს, მეთევზეების სადგურებს, საზღვაო საწყობებსა და სხვებს, დაუყოვნებლივ გადმოსცენ როსტას თუ კი რაიმეს გაიგებენ ამუნდსენის შესახებ, რათა აღმოუჩინონ მას დახმარება.

## საბჭოთა კავშირში

### მოსკოვიდან პეკინში გადაფრენის შესახებ.

ეწყობა გადაფრენა მოსკოვიდან პეკინში. ამის გამო ციმბირში დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩატარდა. მოწყობილია აეროდრომი ომსკში, ნოვონიკოლაევსკში, კრასნოიარსკში, ირკუტსკში და შესასვენებელი მოედნები—ანჟერკაში, აჩინსკში, კანსკში, ნიჟნეუდინსკში, ზიმეში და ჩერემხოვოში. გადაფრენის მარშრუტი გადის ციმბირის ყველა მუშა-ცენტრებში.

## სრულიად საკავშირო რადიო-გამოფენა.

ვინაიდან ექსპონატების დიდძალი რაოდენობა მოდის, სრულიად საკავშირო რადიო-გამოფენა 31 მაისიდან გადადებულ იქნა რამოდენიმე დღით.

საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლებმა ბერლინში და სტოკჰოლმში აუარება განცხადება მიიღეს უცხოელ ფირმებისაგან (რომლებიც ამზადებენ რადიო მოწყობილობას) გამოფენაში მონაწილეობის სურვილის შესახებ.

## საბჭოთა ამიერ-კავკასია

### მუშაობა ტუაფსეში.

ტუაფსეში დაწყებულ იქნა ადგილების გადახატვა ტუაფსე-გროზნოს ნავთსადენის გასაყვანად და ნავთის სახდელ ქარხნის ასაგებად.

### აბრეშუმის საქსოვი ქარხანა.

თელავში დაწყებულ იქნა აბრეშუმის საქსოვი ქარხნის მიღება ყოფილ მესაკუთრე ანდრესიანცისაგან, რომელსაც ჩამოერთვა აღნიშნული ფაბრიკა საქართველოს ხელისუფლების განკარგულებით.

**მინდვრის თაგვები.**

თეთრიწყლების რაიონში (თელავის მაზრა) გამოჩნდა მინდვრის თაგვები.

### კახეთის რკინის გზის გაგრძელების შესახებ.

ტფილისიდან თელავში ჩავიდა განსაკუთრებული კომისია ზემო კახეთის ტყეების გამოსაკვლევად; გადაწყვეტილია გაგრძელდეს მუშაობა კახეთის რკინის გზაზე თელავიდან ახმეტამდი.

## მცირე ვადიანი შვებულება და შვებულება ავადმყოფობის გამო.

(დასასრული.)

### ნაწილიდან ნაწილში გადაყვანა.

შვებულების მეორე სახე ეს არის ხანგრძლივი შვებულება, რომელიც დაწესებულია მხოლოდ ვადის ზევით მსახურ წითელ-არმიელთა და უმცროს მეთაურთა შემადგენლობისათვის. ამ შემთხვევაში შვებულებაში მიდის მოცემული ნაწილის ვადის ზევით მსახურთა პირადი შემადგენლობის 3 პროც. ერთი თვის ვადით. ის პირები, რომლებიც ითვლებიან ნამდვილი სამსახურის ვადაში, ასეთი შვებულებით არ სარგებლობენ.

შემდეგ მიდის შვებულება ავადმყოფობის გამო და ჯანმრთელობის აღსადგენად: ასეთ შემთხვევაში შვებულება ეძლევა საექიმო კომისიის შემოწმებით მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, როგორც ვადით მსახურს, ისე ვადის ზევით მსახურსაც.

ეხლა ვიკითხოთ: შეუძლია თუ არა ნაწილის უფროსს მისცეს შვებულება წითელ არმიელებს, რომელთაც უნდათ წასვლა სახლში ამა თუ იმ მიზეზების გამო? არა, არ შეუძლია, ვინაიდან ერთ პროცენტზე მეტის გაშვების უფლება არავის არ აქვს. აუცილებელია თუ არა წითელ არმიელის სახლში წასვლა შვებულებით ამა თუ იმ შემთხვევის გამო? მეტნაწილად, არა, ვინაიდან მოკლე ვადით შვებულება წითელ არმიელს არსებით სარგებლობას ვერ მისცემს, ხოლო სწავლებას კი მოაცდენს.

ახალწვეულთა დანიშვნა სხვა და სხვა გვარი იარაღის ჯარებსა და ცალკე ნაწილებში სწარმოებს გაწვევის დროს საექიმო შემოწმების მიხედვით და ამასთან ამა თუ იმ ნაწილების სამსახურის პირობებთან შეფარდებით. ნაწილის სიაში ჩარიცხულმა წითელ-არმიელებმა უნდა იმსახურონ ნაწილში სამსახურის მთელი ვადის გასვლამდი და სხვა ნაწილში მათი გადაყვანა არ შეიძლება. ასეთ შემთხვევებში შეიძლება გამონაკლისის დაშვება მხოლოდ ცალკე სამხედრო და ხანდახან სხვა ნაწილის ფარგლებშიც, მაგრამ მხოლოდ შტაბების განკარგულებით. რატომაა აკრძალული გადაყვანა და რატომ არ აკმაყოფილებენ სამხედრო მსახურთა ცალკე შუამდგომლობას გადაყვანის შესახებ?

პასუხი გასაგებია,—სწავლების სასარგებლოდ. ყოველმა მეთაურმა, სანამ ასწავლიდეს წითელ-არმიელს, კარგად უნდა გაიცნოს ის ყოველმხრივ, შეუთვისდეს მას და მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი წითელ-არმიელის აღზრდა. მაგრამ განა მეთაურს შეუძლია შეისწავლოს თავისი პირადი შემადგენლობა, თუ ის მუდმივ ცვლილებაში იქნება?

რასაკვირველია, არა. გარდა ამისა გადაყვანა დაარღვევს ნაწილის შევსების წესს და გამოიწვევს სახალხო ქონების უაზროდ ხარჯვას აქეთ იქეთ მოგზაურობაზე. ამის გამო საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანებით № 821, 1924 წ. აკრძალულია ნამდვილ სამსახურში მყოფთა გადაყვანა; გადაყვანა დაშვებულია მხოლოდ ვადის ზევით მსახურ უმცროს მეთაურთათვის კლიმატიური (ჰავა) პირობების გამო, ან ნათესავებთან ერთად სამსახურის გულისათვის.

**თავის სურვილით სამსახური.**

მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში ნებაყოფლობითი სამსახურში მიღება წითელ-არმიელის თანამდებობაზე შეიძლება მხოლოდ სპეციალურ ნაწილებში შტატის შემადგენლობის 2 პროცენტამდი, მაგრამ მხოლოდ იმ წითელ-არმიელთაგან, რომელთაც გაუვლია ნამდვილი სამსახურის ვადა აღნიშნულ ნაწილებში.

მოხალისეთა მიღება წითელ-არმიელის თანამდებობაზე მხედრთა, ცხენოსანთა და არტილერიის ნაწილებში არ შეიძლება.

თავის სურვილით სამსახურის ვადა ერთ წელიწადზე ნაკლები არ შეიძლება. მოხალისეთა უვადო შვებულებაში დათხოვნა სწარმოებს წელიწადში ერთხელ,—შემოდგომაზე.

რაც შეეხება მოხალისეთა დაშვებას უმცროს მეთაურთა თანამდებობაზე (ვადის ზევით მსახურნი), ასეთების მიღება შეიძლება მუშურ-გლეხური წითელი არმიის ყველა ნაწილებში, მაგრამ იმ პროცენტულ ნორმების ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია ყოველი სამხედრო შეერთებულებისათვის, ს. ს. რ. კ-ს რევსამხსაბჭოს ბრძანებაში № 1213 1924 წ.

**სლუჟილოვი.**

## სამხედრო ქიმია.

**სამხედრო ქიმიური ნედლი მასალა საქართველოში.**

მნიშვნელოვან და ძვირფას ქიმიურ მასალად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ეგრედ წოდებული „მძიმე შპატი“ ანუ „ბარიტი“, რომელიც დიდძალი რაოდენობით მოიპოვება ქუთაისის გუბერნიის მაზრებში. ბარიტი ძვირფასი მასალაა, როგორც საერთოდ ქიმიური, ისე სამხედრო ქიმიური მრეწველობისთვის. ქიმიურად დაუმუშავებელი, უბრალო ფხვნილად ქცეული ბარიტის სხვა და სხვა სახე იხმარება როგორც კარგი თეთრი საღებავი. ასევე იხმარება ბარიტის შუშის, შაქრის, საქსოვ და სხვა სარეწავოებში და მეტალურგიაში.

სათანადო დამუშავებით ბარიტისაგან ღებულობენ ერთგვარ ნივთიერებას „ბორის სელიტრას“, რომელიც მომეტებულად იხმარება სამხედრო ქიმიაში. ბორის სელიტრას ხმარობენ ამაფეთქებელ ნივთიერებათა დასამზადებლად, შუშხუნებისა და ფეიერვერკების ფერადცეცხლებისა (ნიშნისათვის) შემადგენლობის დასამზადებლად და სხვ.

მაშასადამე ეს ქიმიური ნედლი მასალაც მეტად ძვირფასია სამხედრო ქიმიისათვის.

**სურმა.**

ქუთაისის გუბერნიაშივე მოიპოვება აგრეთვე მადანი, რომელიც შეიცავს ლითონს—სურმას. წმინდა სახით ეს ლითონი იხმარება სხვადასხვა შენადნობების დასამზადებლად, მაგალითად სტამბის შენადნობისთვის და სხვა. მაგრამ გარდა ამისა სურმა იხმარება სათანადოდ დამუშავების შემდეგ სამხედრო-ქიმიურ მუშაობაში, მაგალითად მომწამვლელ საომარ ნივთიერებათა დამზადების დროს (ფოსგენი და სხვა) რეზინის საქსოვ მრეწველობაში, პარფიუმერიასა და კოსმეტიკაში, წამლების მოსამზადებლად და სხვ.

**ლ. ვორონოვი.**

## სასამართლოს განაჩენის საკასაციო განსაჩივრების წესი.

„საკასაციო განსაჩივრების პროცენტი, სამხედრო-მოსამსახურეთა მიერ შემოტანილი, ბევრად ნაკლებია, ვიდრე საერთო სამოქალაქო სასამართლოს დაწესებულებებისაგან“. (უზენაეს სასამართლოს, სამხედრო პროკურორის ცირკულ. № 4.)

როგორც სჩანს საკავშირო უზენაესი სასამართლოს სამხედრო პროკურორის ცირკულიადან № 4, განსაჩივრებული განაჩენები სამხედრო პირთა მიერ, გაცილებით უფრო ნაკლები ყოფილა, ვიდრე განსაჩივრებული განაჩენები საერთო სასამართლოს წესით მსჯავრდადებულ პირთა მიერ. ამ გარემოებას არ შეიძლება არ მიექცეს სათანადო ყურადღება, ერთი იმიტომ, რომ მიზანშეუწონელი განაჩენი, გამოტანილი ამა თუ იმ სასამართლოს მიერ არ დარჩეს განუსაჩივრებელი, და მეორე იმიტომ, რომ ყველა მსჯავრდადებულმა იცოდეს თავისი უფლებები და წესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საკასაციო განსაჩივრებისა. მუშურ-გლეხური სასამართლო არავითარი ფორმალობით არ არის შეზღუდული და ეყრდნობა რა რევოლიუციონური კანონიერების პრინციპებს—თავის მუშაობაში მუდამ ატარებს კლასიურ ხაზს და ასე აშენებს ის თავის განაჩენს ამა თუ იმ ბრალდებულის მიმართ; მაგრამ რასაკვირველია ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს არასოდეს არ მოუვა შეცდომა. შეცდომა ყველას მოსდის, და ჩვენი პარტიის და ხელისუფლების უპირატესობაც სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ის შეცდომებს კი არ მალავს, არამედ ასწორებს მას—და სწავლობს თუ როგორ აღარ უნდა დაუშვას შეცდომები. და აი რადგანაც არ შეიძლება ვიყოთ დაზღვეული შეცდომებიდან, კანონმდებლობა იძლევა საშუალებას განსაჩივრებული იქნეს სასამართლოს განაჩენი—საკასაციო ინსტანციაში, ამ ფუნქციებს ჩვენი სამხედრო ტრიბუნალისათვის ასრულებს უზენაესი სასამართლოს საკაციო კოლეგია ს. ს. საბ. რესპუბლიკისა. რანაირი საშუალებით შეიძლება განსაჩივრება განაჩენისა?-აქ ორი საშუალებაა: ა) საკასაციო პროტესტი და ბ) საკასაციო განსაჩივრება: პირველის ე. ი. საკასაციო პროტესტის უფლება აქვს სამხედრო პროკურორს და მეორესი პირველის ე. ი. საკასაციო საჩივრის—მსჯავრდადებულს. საკასაციო პროტესტი ეს პროკურორის საქმეა და ის როგორც რევოლიუციონური კანონიერების დაცვის სადარაჯოზედ მდგომი პირი უნდა ანხორციელებდეს ამას, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ამაზედ არ შევჩერდებით—შევეხებით მხოლოდ საკასაციო განსაჩივრების წესს მსჯავრდადებულის მიერ. გამოიტანს რა სასამართლო განაჩენს, ის ვალდებულია ასლი ამ განაჩენისა ჩააბაროს მისჯილს. აი სწორედ ამ განაჩენის ასლის ჩაბარების დროიდან მსჯავრდადებულისადმი ამ უკანასკნელს სრული უფლება აქვს განასაჩივროს ეს განაჩენი ვიდრე სამი დღე და ღამის ე. ი. 72 საათის განმავლობაში; საკასაციო საჩივარი უნდა იქნეს შეტანილი იმ სასამართლოში, რომლის მიერაც იყო გამოტანილი განაჩენი, და სასამართლოც ვალდებულია დაუყონებლივ გადაგზავნოს საკასაციო საჩივარი სადაც ჯერ-არს. საკასაციო საჩივარი შეიძლება აღძრული იყოს მაშინ, როდესაც დარღვეულია საპროცესო ნორმები, დარწმუნებულია ბრალდებული, რომ ის დანაშაულებრივი ქმედობა, რომელიც დამტკიცებულად სცნო სასამართლომ და გამოიტანა სასჯელი, მას არ ჩაუდენია, ან და საკასაციო საჩივრის აღძვრა შეიძლება მაშინაც კი, როდესაც მსჯავრდადებული გრძნობს, რომ სასჯელის ზომა მიზანშეუწონელია, რომ მან თუმცა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ ისე დიდი სასჯელის ღირსი არ იყო, რომელიც მას სასამართლომ გამოუტანა. ასე და ამნაირად, საკასაციო განსაჩივრების უფლება აქვს მსჯავრდადებულს, მაგრამ როგორც სჩანს ზემოდ მოყვანილი ადგილი საკავშირო უზენაესი სასამართლოს სამხედრო პროკურორის ცირკულიარიდან, საკასაციო საჩივრები სამხედრო პირების მიერ შედარებით ცოტა ყოფილა. ალბათ ეს იმითი აიხსნება რომ ჩვენი წ. ლაშქრის შემადგენლობა მუშურ-გლეხურია, ეს ხალხი გაცილებით „უეშმაკოა“ ვიდრე იმათი უმეტესობა, რომლებიც ჩადენილი დანაშაულისათვის მოყვებიან ხოლმე საერთო სამოქალაქო სასამართლოს საბრალდებულო სკამს, როგორც ვაჭრები „ნეპმანები“ და მათი მსგავსნი. ალბათ ბევრ წ. მოლაშქრეებს, აღძვრია სურვილი საკასაციო საჩივრისა, მაგრამ მას ეს სისრულეში ვერ მოუყვანია, ვინაიდან კარგად წერა არ ცოდნია და ვერც სხვა ვინმე უშოვნია საჩივარის დამწერი. ამ მხრივ კი ვაჭრები „ნეპმანები“ და სხვები უზრუნველყოფილნი არიან, მათ ადვილათ შეუძლიათ გადააბარონ რამოდენიმე მანეთი, უშოვნონ ვინმე „აბ-აკატი“ და „მშვენიერი იურდიული“ ენით დააწერინონ საკასაციო საჩივარი. ამისათვის ჩვენ ვეუბნებით წითელ-მოლაშქრეებს, რომ როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, სასამართლო ჩვენი კლასიურია, ის არავითარი ფორმალური მხარეებით არ არის შეზღუდული, შეგიძლიათ დასწეროთ საკასაციო საჩივარი შეძლების დაგვარათ, გამოსთქვით მხოლოდ აზრი თუ რა გსურთ და დარწმუნებული იყავით, რომ მის მსვლელობას არ შეაფერხებს ის, რომ მასში არ იქნება დაცული „იურდიული“ ენა.

**ხიხაძე.**

# მომავალი ტერ-შეკრები-სათვის.

, წესით სწარმოებს ტერნაწილების ცვალებად შემადგენლობის შეკრება.

ა. წ. ივნისიდან განზრახუ- ა მობიდან 1902 წლიში და- ბულ მოქალაქეთა ტერშეკ- ს ყაზარმაში სამთვიანი სწა- ეს გასაცვლელად.

მატერიალური მოსაზრებით ... წელში ეს სწავლე- მობიდის ათასეულის ფარ- ეში, ზოგიერთ, ათასეუ- ში დაშორებულ ასეულებს ება, რომლებშიაც იწარმო- სწავლება ადგილობრივად ბების წერტილზე.

ნაწილებზე ახალწვეულთა ... იქნა ჯერ ... წლის დასაწყისში.

მოსახლეობის წინასწარ ეც- ... შეკრების დრო და სად ... მოიყარონ თავი ახალწ- ულები. შეკრების წერტებ- ... ტერნაწილების მეთაურთა ... ადგენლობა ღებულობს ახ- ... ჩვეულებრივად ... ასეულის შესაკრები ... ზოგიერთ ... რაიონებისთვის, შეკრე- ... ინიშნება ... წერტილი, სადაც ... ტერნაწილების მე- ... შემადგენლობა ახალ- წვეულთა მისაღებათ.

შეკრება ეწყობა ისე, რომ ახალწვეულებმა დანიშნულ დროზე მოიყარონ თავი წერტებზე.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ვინც განგებ გაექცევა სამსახურს, მათ წინააღმდეგ ადგილობრივი ორგანოები ღებულობენ სერიოზულ ზომებს.

დანიშნულ ადგილზე შეკრების შემდეგ ახალწვეულები შემოწმებულ იქნებიან საექიმო კომისიის მიერ. აქ გასინჯავენ აგრეთვე იმათაც, ვისი ჯანმრთელობაც გაუარესდა. შემდეგ მათ პარსავენ, მიჰყავთ აბანოში, აძლევენ თეთრეულს, ტანისამოსს და ფეხსაცმელს, საკუთარ ფეხსაცმელებს და ტანისამოსს ჩამოართმევენ, შეჰკრავენ ცალკე და ახალწვეულის გვარის წარწერით აგზავნიან სადეზინფექციოდ.

შემდეგ ახალწვეულები ღებულობენ იარაღს და იწყება მეცადინეობა.

შეკრების დასრულების შემდეგ ახალწვეულს უბრუნებენ საკუთარ ტანსაცმელს და სახაზინოს ჩამოართმევენ. პ.

## ...ცვალებად შემადგენლობის შესახვედრად ვემზადებით.

5 თუ ლეგ. მესამე ათასეული.

ჩვენი ათასეული ენერგიულად ემზადება ცვალებად ...ადგენლობის მისაღებათ. ყაზარმები შესაფერად იქნა და-...ლაგებული. ამას გარდა 26 მაისს ათასეულის უფროსისა ...მონაწილეობით ადგილობრივ ალმასკომ-...ადგენლებთან ერთად შესდგა კომისია, რო-... უნდა შეხვდეს ცვალებად შემადგენლობას.

... დაადგინა: გამოუშვას მოწოდება ტერი-...ის ფართო მასებისთვის გაცნობის მიზ-...

... ნაყოფიერად ჩატარებისათვის გადაწ-... გამოუშვან ამ დღისთვის გაზეთის სპეციალური ...

... ენერგიულ მუშაობას აწარმოებს ამ ... იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ტერ-შეკ-...ული კამპანია ბრწყინვალედ ჩატარდება.

სამხკორი ყულისკარელი.

## ნაყოფიერი მუშაობის გატარება

... მესამე ... მწვევამდელთა მზადე- ... მაისს. ამ ... მოაწყო ... გაშვება. ... თე- ... ასეუ- ... შემადგენლობა, ... ადგ. ორ- ... ამხა-...

... ამო- ... სოფლად ... მოხსენება ... ჭოხონელიძემ, ... ტერ-სის- ... საკითხის- ... მნიშ- ... ერთად, ... ასეულის ... ლე-...

... ერთად ... წერა- ... ლიკ- ... მწვევამდელებში.

... მოხსენე- ... სი- ... სამპარტ- ... ა.ლ.კ.კ. სა- ... განათ- ... წარმო- ... რომლებმაც თა- ... აღნიშნეს მწვევამდელთა მოვალეობა სოფლად დაბრუნების შემდეგ. მწვევამდელების სახელით ილაპარაკეს ამხ. ბრეგვაძემ, ლორცულიანმა და ფანჯავიძემ, რომლებმაც თავიანთი მგრძნობიარე სიტყვებით დიდი აღფრთოვანება გამოიწვიეს დამსწრეებში. ისინი მწვევამდელთა სახელით ფიცს სდებდენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ დაძახების თანავე მზად იქნებიან შეგნებულად ჩადგენ წითელი არმიის რიგებში მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამასთანავე ერთად ისინი სიტყვას იძლეოდენ, რომ მთელ თავიანთ ცოდნას მოახმარენ სოფლის კულტურულად აყვავებას და სხვა.

კრების დასრულების შემდეგ ადგ. ბაღში გადაღებულ იქნა სურათი, რის შემდეგ სამაზრო ალმასკომმა გამართა სადილი მწვევამდელებისათვის. სადილის დამთავრების შემდეგ, მწვევამდელებმა დიდი მადლობა გადაუხადეს ადგ. ხელისუფლებას, და ასეულის შემადგენლობას.

ასეთი წარმატებით დაამთავრა მესამე ასეულმა მწვევამდელთა მზადება ლეჩხუმის მაზრაში.

ტერკორი გ. ყურაშვილი

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## პირველი მესანგრე ასეული ბანაკად.

16 მაისს ჩვენი ნაწილიც გაემგზავრა საბანაკოდ.

რონოდებში კარგა ხანი იყო მოვთავსდით და მოუთმენლად მოველოდით მატარებლის ანძრევას.

გაისმა მესამე ზარი... არმიელები ახმაურდენ. აიძრა მატარებელი. ქუდების და ცხვირსახოცების ქნევით დავემშვიდობეთ თბილისს.

მივქრივართ გამალებული, სადგურს—სადგურზე ვტოვებთ უკან. რონოდების შეხმატკბილებული ხმაური უფრო გვალხენს. სწრაფად იცვლება ქართლის გაშლილი ველების საუცხოვო სურათი.

ამწვანებული ჯეჯილი წუთით მაგონებს ჩემს სოფელს, საკუთარ ყანებს.

უნებლიეთ ორი აზრი გაიელვებს თავში. ყაზარმა თუ სოფელი? ორივე, ორივე... მეუბნება რაღაც საიდუმლო გრძნობა. აქ ცოდნით აღჭურვა, შემდეგ მისი სოფლად გამოყენება.

ყაზარმაში ვცნობილობთ ჩვენ საკუთარ თავს, მტერსა და მოყვარეს. აქ გვასწავლიან თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ, როგორი პასუხი უნდა გავცეთ მშრომელი ხალხის მტრებს. აქვე გვასწავლიან თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ სოფლად და გამოვიყვანოთ ის სიბნელიდან.

ყაზარმა ცოდნას გვაძლევს, სოფელი კი ამ ცოდნის გამოსაყენებელი საცდელი მინდორია. ერთი მეორის დამატება—ორივე ერთად ჩვენი მუშურ-გლეხური რესპუბლიკების ძლევა მოსილების თავდები.

არმიელების სიმღერა შეუხმატკბილდა მატარებლის ხმაურს... ჯერ ნელა, სევდიანად იწყება კახელების სიმღერა, რომელიც თანდათან ძლიერდება. მატარებელი კი მიგვაქროლებს ჩვენი საზაფხულო საცხოვრებელისაკენ... აი კიდევაც მივედით სადგურში.

გაჩაღდა ფუსფუსი. რამოდენიმე საათის განმავლობაში გადატანილი იქნა მთელი ბარგი, და შეუდექით მუშაობას. გადავჭიმეთ ფარდულები და შემოვავლეთ გრულშემო წყლისათვის რკალები.

მოვზიდეთ წვრილი წკნელი და დავიწყეთ ერთი დიდი საბძელისებური სამ განყოფილებიანი შენობის აგება.

აქ იწარმოებს ჩვენი საგანმანათლებლო მუშაობა. არანაკლებად უხარია იმ გლეხს, რომლის ეზოშიდაც ავაგეთ ეს შენობა... წასვლის შემდეგ მე დამრჩებაო.

მიწურებში გავაჩაღეთ ლენინის კუთხე. წრეებში მეცადინეობა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ წინასწარი სამზადისი დიდია.

29 მაისს გვეწვია დივიზიის უფროსი ამხ. თუხარელი, რომელმაც მოიწონა ჩვენი მუშაობა ბანაკის მოწყობისათვის. ძლიერ ესიამოვნა ლენინის სახ. სახლის აგება.

საბანაკოდ შეკრების კომისიამ ჩვენ მიგვამაგრა იმ სოფელს, რომელიც იყო ჩვენ შეფობის ქვეშ შარშან. ყოველგვარი ზომებია მიღებული, რომ ნაყოფიერი იქნეს სოფელთან კავშირი.

ხელთუბნელი.

## ასეთი ალლუმები აღრმავებენ სამხედრო სწავლებას!

(მეექვსე ლეგიონი)

ჩვენი ნაწილის ალლუმები ყოველთვის ნაყოფიერად ტარდება. 27 მაისს მოწყობილ ალლუმმა კი ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. აღნიშნულ დღეს გავედით ლეგიონიდან, გავიკავეთ ორ ჯგუფად და დავიკავეთ მითითებული ადგილები.

პირველ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ამხ. გიორგაძე, მეორეს კი ამხ. ამირაძე.

პირველ ჯგუფს დაევალა განსაზღვრული ადგილის გამაგრება, რომ ამ გამაგრებულ ადგილებში არ შემოჭრილიყო მეორე ჯგუფი.

მეორე ჯგუფის ხელმძღვანელმა გაჰყო თავისი ჯგუფი სამ ათეულად, რომელთაგან პირველი წავიდა პირდაპირი მიმართულებით, მეორე მარჯვნივ და მესამე კი მარცხნივ. პირველი ჯგუფი დარჩა ალყა შემორტყმული და აღარ შეეძლო გამოსვლა ამ რკალიდან.

გადავედით შეტევაზე პირველი ჯგუფის წინააღმდეგ და დავამარცხეთ მოწინააღმდეგე.

პირველ ჯგუფებმა არ იცნეს თავი დამარცხებულად.

შეჯგუფდენ წითელ არმიელები, ჯგუფების ხელმძღვანელები და მეთაურები. გაიმართა სჯა-ბაასი.

პირველი ჯგუფის წითელ არმიელები და მათი ხელმძღვანელი ამხ. გიორგაძე კიდევ არ სცნობდენ თავს დამარცხებულად.

ამ საკითხის გადაწყვეტაში ყველა ღებულობდა მონაწილეობას.

ბევრი კამათის შემდეგ ხმის უმრავლესობით დამარცხებულად ჩათვალეს ამხ. გიორგაძის ჯგუფი.

სასურველია ასეთი ალლუმები ხშირად მოეწყობოდეს, რადგან ეს იწვევს წითელ არმიელთა უსაზღვრო დაინტერესებას და სიცხოველეს სამხედრო მომზადების საქმეში.

წ. არ. ხარაზაშვილი.

## ვაზიანში.

(წ. არმიელის დღიურიდან).

1

—კარვების მოწყობა დამთავრებულია.

—ლეგიონი მოეწყო და დაბინავდა.

— ეხლა მეცადინეობაა საჭირო.

ასე ელაპარაკებოდენ ერთმანეთს ჩაის დროს № ბატარეის წ. არმიელები.

—დღეს ჩვენი ბატარეის ქვემეხებს დავსინჯავთ და შევამოწმებთ.

რა არის დღეს პოლიტსაათის თემა?

—საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობა. პოლიტხელმა მითხრა „ყველა წითელ არმიელმა ზეპირად უნდა იცოდეს თუ რა კომისარიატებია ს. ს. რ. კავშირში“-ო.

—ვერა ძმაო მე მაგეებს ვერაფერს გაუგებ—ამოიოხრა ერთმა არმიელმა.

სხვებმა გაამხნევეს...

—შენ ახალი მოსული ხარ, ჯერ დაიცადე! ერთი წლის შემდეგ მაგას აღარ იტყვი. აგერ ჩვენმა დიღმელაშვილმა წერა-კითხვაც არ იცოდა მაგრამ ეხლა გაზეთ „წით. არმიელში“ აპირობს წერილის დაწერას.

2

პოლიტ-საათები ცოცხალი ინტერესით ტარდება.

ცოდნას მოწყურებული არმიელები კამათობენ, ხსნიან პოლიტ-თემას.

—რისთვის დაარსდა საბჭოთა კავშირი?—კითხულობს პოლიტხელი.

ბერიაშვილი უპასუხებს:

—იმისთვის დაარსდა, რომ მტერმა ცალ-ცალკე ზიანი არ მოგვაყენოს. თუ ერთად არ ვიქნებით, მტერი ადვილად დაგვამარცხებს. სამხედრო საქმეში, საგარეო პოლიტიკის საქმეში, საგარეო ვაჭრობის საქმეში, მეტს გავაკეთებთ და აკი გავაკეთეთ კიდეცა, ხმას ველარ იღებენ ბურჟუები თაგვებივით შეძვრენ სოროებში და იქიდან წრუწუნებენ.

—იქედანაც გამოვრეკავთ!-უმატებს ქუმსიშვილი.

—მერე სად წავლენ, თორემ ჯერ კიდევ აქვთ თავშესაფარი!

იმუქრებიან მშრომელთა შვილები.

—მაგაზე ჩვენ ნუ ვიდარდებთ. ეგ თვითონ იფიქრონ.. ამბობს პოლიტხელი და თემას უბრუნდება.

ცოცხალი მეტყველებით გრძელდება პოლიტ-საათი.

3

პოლიტ-საათის შემდეგ № ბატარეამ კრება ჩაატარა.

სხვა საკითხებთან ერთად იდგა საკითხი ბატარეის მეკუჭნავისა და დამხმარე კომისიის არჩევისა.

ამ საკითხზე ილაპარაკა პოლიტ-ხელმა და აღნიშნა, თუ რად არის საჭირო კარგი სურსათის გამგე ბატარეაში და რა სიკეთის მოტანა შეუძლია მას. შემდეგ შეეხო ბატარეის ცხოვრებას და საჭიროდ სცნო გამოცვლილიყო მეკუჭნავე.

შემდეგ მეკუჭნავემ განაცხადა:

—ამხანაგებო მეც მინდა ვისწავლო სამხედრო საქმე, ნუ მომაცდენთ მეტს. სამსახურის შესასწავლად ვარ გამოწვეული და რომ უსწავლელი წავიდე სამხედრო სამსახურიდან განა კარგი საქმე იქნება?

მომეცით საშუალება სამწყობრო საქმის შესწავლისა.

ყველამ მოუწონა.

არჩეულ იქნა სხვა მეკუჭნავე და დამხმარე კომისიის წევრები.

4

ლეგიონის სამხკომის კარავში პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაკების კრებაა.

სამხკომმა გააცნო იგინი საბანაკო პერიოდის სამოქმედო გეგმას.

გამომუშავებულ იქნა ცხრილი და სამეცადინო პროგრამა.

კრება გაეცნო ცირკულიარებსაც, სადაც ნაჩვენები იყო საზაფხულო პერიოდის მუშაობის წესი.

ბოლოს ამხ. ფოფხაძემ კრებას განუმარტა.

„ამხანაგებო!! უპირველეს ყოვლისა ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს დიდი საკითხი. ეს საკითხი არის კავშირის დაჭერა ადგილობრივ ორგანიზაციებთან და გლეხობასთან. ამ ნაირად როგორც გვირჩევენ და საჭიროც არის ჩვენ უნდა დაუკავშირდეთ სოფ. მარტყოფს“.

საკითხი ნათელი იყო.

არჩეულ იქნა კომისია ხუთი კაცის შემადგენლობით, რომლებსაც დაევალა კავშირის დამყარება და განმტკიცება.

მხოლოდ სამხედრო ნაწილებთან კავშირის დაჭერა მიენდო ბიუროს მდივანს.

კლუბის უფროსმა და წრეების ხელმძღვანელებმა თავის ძალებს გადახედეს.

სოფლებში წარმოდგენების გამართვას აპირებენ.

უსურვოთ სიტყვის საქმად გადაქცევა.

5

მეთაურთა შემადგენლობასაც ეტყობა ბევრი საქმე გამოუჩნდა.

წამ და უწუმ ისმის განკარგულება:

საწოლები მოეწყოს კარვებში!!

ცხენებს მეტი ყურადღება!!!

ქვემეხები უნდა გაიწმინდოს!

სისუფთავე იყოს კარვებში დაცული!

გაეცნენ საბანაკო პერიოდის გეგმას, ყველამ თავის გასაკეთებელი საქმე გაითვალისწინა.

ლაპარაკობენ მანევრებზე, სროლის წესებზე, ქიმიაზე, არტილერიის საქმეში, ავიაციის მნიშვნელობაზე, ყუმბარებზე და ყველაფერზე, რაც საჭიროა თავიანთ მოვალეობის მტკიცეთ შესასრულებლად, რათა გაიწვრთნას წითელი არმია.

წ. არ. თქვენი ერდგული.

(გაგრძელება იქნება).

# პარტიული ცხოვრება.

მე-6-ე ლეგიონში 29 მაისს მოწვეულ იქნა ამავე ლეგიონის 1 და 2 უჯრედების, ა.ლ.კ. კავშირის ჯგუფისა და წყალსადენის მუშების გაერთიანებული კრება, რომელზედაც განხილული იყო ორი საკითხი: 1) მე-14 პარტკონფერენციისა და 2) საბჭოთა სრულიად საკავშირო მე-3-ე ყრილობის მუშაობა და მათი შედეგები.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ჭანტურიშვილი, რომელიც დაწვრილებით ეხება პარტ-კონფერენციის მუშაობის ყველა დარგებს და აცნობს კრებას კონფერენციის დადგენილებას ამა თუ იმ საკითხზე.

მეორე საკითხზე კი მოხსენებას აკეთებს ამხ. გამსახურდია და აღნიშნავს საბჭოთა საკავშირო მესამე ყრილობის მიღწევებს.

მომხსენებლებს დამსწრეები აძლევდენ მრავალ შეკითხვებს. შეკითხვების მიცემაში მონაწილეობას ღებულობდენ ახალწვეულებიც.

ორივე მოხსენების ირგვლივ გამოტანილ იქნა მოკლე რეზოლიუცია, სადაც კრება ესალმება კომპარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას და უსურვებს მათ მტკიცეთ გაატარონ ცხოვრებაში მე-14-ე პარტკონფერენციისა და საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობის დადგენილებები.

აქვე დადგენილ იქნა: შეისწავლონ ხსენებული კონფერენციისა და ყრილობის დადგენილებები და შეძლებისდაგვარად გაატარონ ის ცხოვრებაში.

ვ. ლორთქიფანიძე.

## შეჯიბრი სროლაში.

### პირველ ლეგ. უნცრ. მეთაურთა სკოლა,

26 მაისს ჩვენი სკოლის კურსანტებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ მათზე გაწეული მეთაურების შრომას უქმად არ ჩაუვლია. როგორი კმაყოფილების ღიმი უკრთოდათ სახეზე ამხანაგებს, როდესაც ხედავდენ, რომ მათი მოწაფე კურსანტები ერთმანეთს არ უთმობდენ პირველობას სროლაში.

შეჯიბრი ძლიერ დამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული.

პირველი ჯილდო მიიღო ამხ. მურთაზაშვილმა, ხოლო მეორე კი ამხ. ცხადაძემ. პირველს ხვდა მაგიდის საათი, და მეორეს დიდი სარკე წარწერით.

ჯილდოებთან ერთად ამხანაგებს მიეცათ აგრეთვე ხუთ-ხუთი დღის შვებულება.

იმედია ჩვენი კურსანტები კიდევ უფრო გაუმუყაითდებიან სწავლას, და უკეთესად შეისწავლიან, როგორც ზუსტად სროლის საქმეს, ისე სხვა საჭირო საგნებსაც.

ახკორი ზუმბაძე.

## მოაწესრიგეთ ეს საქმე.

1-ლ ლეგიონის სამნეო გუნდში იმყოფება 5 ზეინკალი და ერთი დურგალი, რომლებიც მუშაობენ საიარაღო საწყობში.

თითქმის ერთი წელიწადი შესრულდა, რაც ეს ამხანაგები მუშაობენ ამ საწყობში, და დღესაც არ იციან, თუ ვის დაემორჩილონ საიარაღო საწყობის გამგეს, სამნეო ასეულის თავს, თუ მწყობრის მეთაურებს.

საიარაღო საწყობის გამგე ამბობს. ეს ამხანაგები ჩემს განკარგულებაში არიან და შეუძლიათ არ დაესწრონ ამოკითხვასო. ასეულის თავი კი ამბობს: ბრძანებით ჩემთან იმყოფებიან ეს ამხანაგები და დილის და საღამოს ამოკითხვაზე მათი დასწრება აუცილებელი არისო.

მართლაც, უნდა ითქვას, რომ მუშაობის გამო ხშირად აკლდებიან დილის ამოკითხვას ეს ამხანაგები, და არამც თუ მარტო ამოკითხვას არამედ პოლიტ-საათსაც. თუ ამოკითხვას და პოლიტ—საათს დაესწრებიან, მაშინ „ფარები“ გაუკეთებელი დარჩებათ. ამისათვის ასეულების და ათასეულის თავები, რომლებიც სასროლად გადიან, დაპატიმრებით და ლეგთავთან პატაკის მიცემით ემუქრებიან ამ ამხანაგებს.

საჭიროა ეს საქმე გამოირკვიონ ჩვენმა მეთაურებმა, და ისე მოაგვარონ საქმე, რომ ეს ამხანაგები არ მოწყდნენ არც პოლიტ საათს სამხედრო მეცადინეობას და არც საწყობში მუშაობას!

სამხკორი: მეჯუდა.

## კულტ-მუშაობა ჩვენს გუნდში.

### (1 ლეგიონის საკავშირო გუნდი).

ჩვენს გუნდში ირიცხება ძალიან მცირე რიცხვი წითელ-არმიელებისა. გუნდის კულტურულ-პოლიტიკური, სამხედრო და სპეციალური დარგების მუშაობა არაფრით არ ჩამორჩება ლეგიონის სხვა ასეულების მუშაობას. ყოველივე ეს მუშაობა გამოიხატება შემდეგში: საკავშირო გუნდმა, თავისი ძალებით, ამას წინად სხვა ასეულებთან შეჯიბრების მიზნით ლეგიონში გამართა წარმოდგენა. მის მიერ დადგმულ იქნა 3 მოქ. პიესა „ბატონი და ყმა“, რაც საუცხოვოთ ჩატარდა და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვა დამსწრეებზე.

ამას გარდა, კლუბის გამგეობის ხელმძღვანელობით ჩვენმა დრამ-წრემ ჩაატარა სხვა და სხვა შინაარსის წარმოდგენები საშეფო სოფელ დიღომში. ადგ. მცხოვრებლები დიდი კმაყოფილი დარჩენ ამ კულტ-შეფობით და გვთხოვეს ხშირ-ხშირად გაგვემართა შემდეგში მათთვის ასეთი წარმოდგენები.

ამის შემდეგ მოეწყო ექსკურსიები. ჩვენმა გუნდმა ინახულა ცენტრალური სადგური, მუზეუმი, ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგური და სხ.

ყველა ზემოხსენებული მუშაობა გატარებულ იქნა გუნდის უფროს ამხ. ადამიას ხელმძღვანელობით. მატერიალურად კი დიდ დახმარებას გვიწევდა ჩვენი კლუბის გამგეობა.

ვუსურვებ ჩვენი გუნდის ხელმძღვანელებს და ლეგ. კლუბის გამგეობას შემდეგშიდაც განეგრძოთ ასეთი ნაყოფიერი მუშაობა, ჩვენი გუნდის პოლიტიკურ-კულტურულად ასაყვავებლად.

წ. არმიელი: მზვერავი.

# ახალი ამბები.

— **განათლების კომისარიატი შეუდგა** უკრაინის მუზეუმებში დაცულ საქართველოს ისტორიულ ნივთების საქართველოში გადმოტანას.

— **დოლის მოწყობა.** აფხაზეთის მიწ.-მოქ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საქ. მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატის წინაშე, რომ ამ უკანასკნელმა მოაწყოს აფხაზეთში დოლი.

— **უზრუნველყოფის კომისარიატთან** გამართულმა სამაზრო ინსპექტორების თათბირმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას სოც. უზრ. კომისარიატის წინაშე გამოსცენ კანონთა კრებული სოც. უზრუნველყოფაზე.

— **თათბირის გადადება.** ამ.-კავკ. მუშათა საბინაო კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი გადიდო 4 ივლისისათვის.

— **აუკრეფავი გადასახადი.** ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის ცნობებით მთლ. სას.-სამეურნეო გადასახადიდან საქართველოში დარჩენილია 450 ათასი მანეთი მოუკრები.

— **დაღესტანის მუზეუმში** მოთავსებულ ქართულ არქეოლოგიურ სიძველეთა ტფილისში გადმოსატანათ, განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა აწარმოოს შე აფერი საქმიანობა.

— **ქუჩების მოწყობა.** ქალაქის აღმასკომის კეთილ მოწყობის განყოფილებამ დაამთავრა ქუჩების მოწყობა და ქვით მოგება ლენინის უბნის რამოდენიმე ქუჩაზე.

— **საბჭოთა სახლების შეკეთებას** უკვე შეუდგნენ მაისის შუა რიცხვებიდან.

— **ადგილები აგარაკებზე.** ტფილისის დამზღვევი კასის განკარგულებაში. წელს, არის 371 ადგილი ყველა აგარაკებზე.

— **ტრამვაის სამმართველომ** შეიძინა 90 ფუთი რკინის სახარში ნივთიერება.

— **ფუნიკულიორისათვის.** ტრამვაის სამმართველო ამ დღეებში საზღვარ გარეთიდან მიიღებს ფუნიკულიორისათვის საჭირო ჯაჭვს.

— **ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა** ქუთაისის სულით ავადმყოფთა სახლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ გადასდო 300 მანეთი.

— **საქონლის გასაღება.** ცეკავშირი ამჟამად ყოველთვიურათ ასაღებს ნახევარი მილიონი მანეთის ღირებულ საქონელს.

## ხელოვნება.

— **ახალ თეატრში.** ახალ (კომედიის) თეატრში 31 მაისს უკვე დაიხურა სეზონი.

— **მწერალ ქალთა ალმანახი.** ახლო ხანში გამოვა ქართველ მწერალ ქალთა ალმანახი.

— **წითელ არმიელთა კლუბი.** პლეხანოვის პროსპექტზე გახსნილი წით. არმიისა და ფლოტის საზაფხულო კლუბში ყოველ საღამოობით იმართება დიდი სეირნობა. ბაღში უკრავს ორკესტრი.

## ახალი წიგნები.

— **„ჭლექის წინააღმდეგ.“** გამოვიდა ახალი წიგნი ექიმ ქეიშვილისა „ჭლექის წინააღმდეგ.“ ფასი 15 კაპ.

— **„ძველი და ახალი სვანეთი.“** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა გაბლიანის წიგნი „ძველი და ახალი სვანეთი.“

— **გამოვიდა და იყიდება** ჟურნ. „თანამედროვე მედიცინა“. სახელმ. უნივერს. გამოცემა. ჟურნალი შინაარსიანია და ღირს 1 მანეთი.

## სამხედრო ტრიბუნალი.

30 მაისს ქართულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. გოგიჩაიშვილის თავმჯდომარეობით განიხილა 1-ლ ქართულ დივიზიის არტლეგიონის წ. მ. მჭედლების: პოპოვი ბორის პალეს-ძის და შაპოვალოვი ანდრია სავლეს-ძის საქმე. მათ ბრალდებოდა: პირველს-სახაზინო ფულის მითვისება, ხელისუფლების ბოროტად გამოყენება და მასზე სახმარათ გაცემული სახაზინო ერთი ცალი მაზარის განსხვისება, მეორეს—ხელისუფლების ბოროტად გამოყენება.

სასამართლოს ძიებით გამოირკვა შემდეგი: ბრალდებული პოპოვი და შაპოვალოვი მსახურებდენ ქართულ არტლეგიონში მჭედლებად. პოპოვმა მიმდინარე წლის 29 აპრილს მიიღო 12 მანეთი ამავე ლეგიონის მებინადრე იოსელიანისაგან სამჭედურის საჭიროებისათვის; ეს ფული მას არ დაუხარჯია დანიშნულებისამებრ, არამედ მიითვისა და გაფლანგა, მანვე წაიყვანა სახაზინო ცხენი სოფელ გომბორში გასასეირნებლად უნებართვოდ; მანვე განასხვისა მას გაცემული სახაზინო მაზა[...] ბრალდებულ შაპოვალოვმა ის[...] გებლა თავისი სამსახურებრ[...] მდგომარეობით და უნება[...] თვოდ წაიყვანა სახაზინო ც[...] ნი გომბორში.

ბრალდებულებმა იცნეს თა[...] ვი დამნაშავეთ მათზე წაყენ[...] ბულ ბრალდებებში. ტრიბუ[...] ნალმა მიუსაჯა მათ სასჯელ[...] შეერთების სახით: ბრალდებუ[...] პოპოვს თავისუფლების აღკვ[...] თა გამსახლში მოთავსებით [...] თვის ვადით, ბრალდებულ შ[...] პოვალოვს დისციპლინარულ[...] წესდების თანახმად დასჯა ლე[...] გიონში 14 დღე-ღამით.

გნია.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### გამძლე ჰაეროპლანი.

15 აპრილს ინგლისელ მფრინავმა ბულმანიმ კრაიდონის ჰაეროდრომზე (ლონდონი) გამოსცადა თავისი ჰაეროპლანი, რომელიც ფრენის დროს სიჩქარის შეწყვეტის შემდეგ „ჩამოკიდული“ რჩება ჰაერში.

ფრენის დროს ბულმანიმ შეაჩერა მოტორის მუშაობა თავის ჰაეროპლანზე და როდესაც შესწყვიტა სრულიად სიჩქარე, ჰაეროპლანი კი არ დაეშვა ძირს, არამედ შეჩერდა-„ჩამოკიდული“ დარჩა ჰაერში და შეინარჩუნა სწორი მდგომარეობა. შემდეგ მფრინავმა უეცრად ცხვირით მიმართა ჰაეროპლანი ზევით, აამუშავა მოტორი და კვლავ განაგრძო ფრენა.

ამ მანევრით დაამტკიცა მფრინავმა, რომ მეტის მეტად საელბედიო მდგომარეობის დროსაც ჰაეროპლანი არ ჰკარგავს თავის გამძლეობას და წესიერ მდგომარეობისადმი დაბრუნების შესაძლებლობას.

მიწაზე დაშვების დროს, როგორც ბულმანიმ განაცხადა, მფრინავს ყოველთვის შეუ[...] ლია აიცილოს თავიდან უთა[...] ბოლოდ ტრიალის ან ცხვ[...] რით დაშვების შესაძლებლობ[...] ჩამოვარდნის დროსაც კი შე[...] ძლია ჰაეროპლანს შეინარჩუ[...] ნოს წესიერი მდგომარეობა [...] თავიდან აიცილოს კატას[...] როფა.

ბულმანის შემდეგ გამოვი[...] თავისი მონოპლანით ცნობ[...] ლი ჰოლანდიელი გამომგონ[...] ბელი-კონსტრუქტორი ფოკერ[...] ფოკერის მანქანა, მოტორი[...] მუშაობის შეწყვეტის შემდ[...] ავტომატიურად ინარჩუნებ[...] სიჩქარეს ფრენაში, რომელი[...] აქვს მოტორის მუშაობის დრო[...]

მონოპლანზე მოთავსებულ[...] იყო 8 მგზავრი. ფოკერმა ის[...] შეანელა მოტორის მუშაობ[...] რომ მონოპლანი ერთ ადგილ[...] ზე გაჩერებულის შთაბეჭდი[...] ლებას სტოვებდა და ნელ[...] დაიწყო ძირს დაშვება.

შემდეგ ისევ მიეცა სიჩქარ[...] და მონოპლანი გაფრინდა ის[...] წინისაკენ.

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** მე ვმსახურებდი რკინის გზაზე, საშემოსავლ[...] ნაწილში, კონტროლიორად. 1924 წელს, მაისში, ვიქენ[...] გამოწვეული წითელ ჯარში, სადაც დღესაც ვიმყოფები. გთ[...] ხოვთ განმარტებას, როდესაც მე ვიქნები განთავისუფლებუ[...] ლი სამხედრო სამსახურიდან, მომეცემა თუ არა ისევ ჩემ[...] ადგილი და თუ არა, როგორ მოვიქცე ამ შემთხვევაში?

წ. არ. დათ. ვლ. კიკვაძე.

**პასუხი.** ვინაიდან თქვენ ხართ გაწვეული ნამდვილ სამ[...] ხედრო ბეგრის მოსახდელად და არა სხვა მიზეზით, თქვენ[...] ძველი ადგილი არ გენახებათ, მხოლოდ ჯარიდან დაბრუნე[...] ბისას თადარიგში გადარიცხვით, თქვენ გექნებათ უპირატე[...] სობა კერძო პირებთან შედარებით და მოგეცემათ ადგილ[...] თქვენს უწყებაში.

**დაიკარგა** 1925 წ. 27 მაისს 16-17 საათებს შო[...] რის 1-ლ ქართულ მსროლელ ლეგი[...] ონის სახაზინო ბეჭედი სამყისის (კაუჩუკის) და ლუქის ერთად[...] შეერთებული წარწერით ქართულად: „პირველ ქართულ დი[...] ვიზიის პირველი მსროლელი ლეგიონი“ ს. ს. რ. კავშირი[...] ღერბით და რუსულად: Первый Стрелков. полк Первой Груз. Стрелк. дивизии. ჩაითვალოს გაუქმებულად ა.წ. 27 მაისიდან. 1-ლ ქართულ მსრ. ლეგიონის სამხკომი ბაახია.

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. ფ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.